2023 წელი

რენესანსი

მოამზადა თათია ბარბაქაძემ
დიზაინი: ხათუნა ციხელაშვილი

საფეხური: დაწყებითი

რესურსის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, ნამუშევრის შექმნა

სარეკომენდაციო თემატური ბლოკი: შთაბეჭდილებები და ემოციები

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და საკითხის გააზრებას.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: აქტიურდება წინარე ცოდნა: მოსწავლეები რენესანსის ეპოქის ნამუშევრების მაგალითზე გაიხსენებენ განვლილ მასალას სახვითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების შესახებ. ამავდროულად, ბავშვები შეეცდებიან ნამუშევრების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

რესურსის გამოყენების ინსტრუქცია:

ნაბიჯი 1. აქტივობის დაწყების წინ საჭიროა, რომ მასწავლებელმა რესურსი (პრეზენტაცია) ფერადი პრინტერის დახმარებით ამობეჭდოს და გაკვეთილის დაწყებისას ბავშვებს დაურიგოს.

ნაბიჯი 2. მასწავლებელიმოსწავლეებს აძლევს დროს (2 წთ.) და სთხოვს ნამუშევრებზე დაკვირვებას. ამ პერიოდში მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს და ემზადებიან კითხვებზე პასუხის გასაცემად.

ნაბიჯი 3. სლაიდების გამოყენებით მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ:

1. სახვითი ხელოვნების რომელი დარგია მათ წინაშე წარმოდგენილი (მხატვრობა);
2. მხატვრობის რომელი დარგია მათ წინაშე წარმოდგენილი (ფერწერა);
3. სლაიდზე წარმოდგენილი ნამუშევარი რომელ ჟანრს განეკუთვნება (პორტრეტი, ავტოპორტრეტი, ყოფითი ჟანრი, რელიგიური, ანიმალისტური);
4. განსაზღვრონ რომელი ეპოქის (ძველი თუ თანამედროვე) ნამუშევრებია მათ წინაშე წარმოდგენილი;
5. მოიყვანონ მაგალითები რა დეტალებით/ ატრიბუტებით ამოიცნეს ძველი ეპოქა;
6. შეეცადონ წარმოდგენილი პერსონაჟების/ სიუჟეტის აღწერასა და დახასიათებას.

რესურსის გამოყენების ინსტრუქცია:

ნაბიჯი 4. სიუჟეტის აღწერის დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა დაუშვან სხვადასხვა სახის ვარაუდი ნამუშევრის შესახებ. ასე მაგალითად: პორტრეტების დახასიათებისას მოსწავლეებმა სასურველია, რომ ინტეპრეტაციის ხერხს მიმართონ და გამოთქვან ვარაუდი ნამუშევრებზე წარმოდგენილი პერსონების შესახებ. ვინ შეიძლება იყვნენ, რას საქმიანობენ, როგორი შეიძლება იყოს მათი ყოველდღიური ცხოვრება და ა.შ.

ნაბიჯი 5. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ საკუთარ შთაბეჭდილებებზე. რა განწყობას ქმნის კონკრეტული ნამუშევარი, რა ემოციას/ფიქრს აღძრავს მათში.



პრაქტიკული სამუშაო

ნაბიჯი 1. მსჯელობის შემდეგ მოსწავლეები პრაქტიკული დავალების შესრულებას იწყებენ. პრაქტიკული სამუშაოს მიზანია, მოსწავლეებმა რენესანსის ეპოქის ნამუშევრებიდან მიიღონ შთაგონება (ინსპირაცია) და შექმნან (გააფერადონ) საკუთარი სურათები. მოსწავლეები ფერების არჩევაში სრულიად თავისუფლები არიან. შესაბამისად, არ არის აუცილებელი ორიგინალი ნამუშევრების ფერწერული გამეორება.

ნაბიჯი 2. . მოსწავლეები ირჩევენ მასალას, ფერს და იწყებენ გაფერადებას. გაფერადების დასრულების შემდეგ ბავშვებმა ნამუშევრები მათში აღძრული განწყობის/ემოციის მიხედვით უნდა დაასათაურონ.

პრაქტიკული სამუშაო

ნაბიჯი 3. შემდეგ თითოეულმა მოსწავლემ ზოგადად უნდა ისაუბროს, თუ რატომ დაარქვა ნამუშევარს ესა თუ ის სახელი. რამ განაპირობა, რამ გამოიწვია მათში ეს კონკრეტული ემოცია. დაასაბუთონ თუ რატომ ფიქრობენ/გრძნობენ ასე..

მასწავლებლის უკუკავშირი:
აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ბავშებს უხსნის, რომ მხატვრები სხვა მხატვრების ნამუშევრებისგან შთაგონებას (ინსპირაციას) ხშირად იღებენ და შემდეგ ქმნიან საკუთარ ნამუშევრებს. ამ გაკვეთილზე კი მათთვის ინსპირაციის წყაროს რენესანსის ეპოქის ნამუშევრები წარმოადგენდა.